SEFER PASHA JAKELI (1625-1652)
საფარ ფაშა ჯაყელი (1625-1652)

ELDAR MAMISTVALISHVILI
Doctor of Historical Sciences, Professor of Gori State University,
Chavchavadze st., No53, Gori, 1400, Georgia
+995577251204, eldarmamistvalishvili@rambler.ru
https://orchid.org/0000-0002-5978-7624

Abstract: Sapar Pasha (in non-Georgian – Sefer Pasha (Sefer Paşa), or Beka III Jakeli, of the Jakeli dynasty of Samtskhe Atabegs. The years 1625-1651 are recognised as the period of his rule. There are several Georgian and Ottoman written sources about Sapar-Pasha, which are more or less known. In addition, there are some previously unknown reports for Georgian historiography, which belong to the missionaries - the Portuguese Pedro dos Santos from the Augustinian order and the Italian Cristoforo Castelli - from the Theatine order, which shed light to some moments of Sapar-Pasha's life.

Since the youth, Beka was actively involved in the struggle for the ownership and power of the Satmskhe Atabags. In October 1580, he helped his uncle, Kvarkvare Atabag, during the capture and raid of Lore. In February 1582, at the age of 18, he was taken to Istanbul. It is likely that he converted to Islam at that time. However, a large number of historical sources date his conversion to Islam in 1620's, when he cruelly murdered his nephew Atabag Manuchar III, who was returning from Istanbul and visiting him. After that, Beka himself went to Istanbul, accepted Islam. In 1628 he was given the title of Pasha and became Sapar-Pasha. He was soon promoted to the service of the Ottoman state. Beka was given the title of Pasha of Akhaltsikhe in 1628. During his time, the conversion of Samtskhe, the most important province of southern Georgia, to Islam was quickly progressing, but at the same time he was trying to maintain good relations with the king of Eastern Georgia, Teimuraz the First.

The materials on the basis of which the aforementioned study was written make it clear that Sapar-Pasha, a renegade feudal lord in the service of the Ottoman lord, was ready to please the Ottoman Sultan and achieve his goals.

Key words: Sapar Pasha; Samtskhe; Pedro dos Santos; Dedisimedi; Eleme Atabag;

ელდარი მამისთვალიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
საქართველო, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., N53,1400,
+995599117703, eldarmamistvalishvili@rambler.ru,
https://orcid.org/0000-0002-5978-7624

აბსტრაქტი: საფარ-ფაშა (არაქართულად – სეფერ-ფაშა), იგივე ბექა III ჯაყელი, სამცხის ათაბაგების ჯაყელთა დინასტიიდან. მისი მმართველობის დროდ მიღებულია 1625-1651 წლები. საფარ-ფაშას შესახებ არსებობს რამდენიმე ქართული და ოსმალური წერილობითი წყარო, რომლებიც მეტ-ნაკლებად ცნობილია. ეხლა დამატებით შემოდის ქართული ისტორიოგრაფიისათვის აქამომდე უცნობი რამდენიმე წყარო რომლებიც ეკუთვნით მისიონერებს – პორტუგალიელ პედრო დუშ სანტუშს ავგუსტინელთა ორდენიდან და იტალიელ კრისტოფორო კასტელს – თეატინელთა ორდენიდან, რომლებიც უფრო ნათელს ხდის საფარ-ფაშას ცხოვრების ზოგიერთ მომენტს.

ბექა ჭაბუკობიდანვე მონაწილებდა ჯაყელი ათაბაგების სამფლობელოების შენარჩუნების, გაფართოებისა და ხელისუფლების ჯერ მოპოვებისა და შემდეგ მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. 1580 წლის ოქტომბერში ის ბიძას, ყვარყვარე ათაბაგს ეხმარებოდა ლორეს აღებისა და დარბევის დროს. 1582 წლის თებერვალში კი, 18 წლისა სტამბოლს წაიყვანეს. სავარაუდოა, რომ მან სწორედ მაშინ იწამა ისლამი. თუმცა ისტორიული წყაროების დიდი ნაწილი მისი გამაჰმადიანების თარიღად XVII საუკუნის 20-იან წლებს დებს, როცა სტამბოლიდან დაბრუნებული ძმისწული – ათაბაგი მანუჩარ III მასთან სტუმრობდა, ვერაგულად მოკლა იგი. ამის შემდეგ ბექა თავად წავიდა სტამბოლს, აღიარა ისლამი და 1628 წელს ფაშას ტიტულით ებოძა ათაბაგობა და იწოდა საფარ-ფაშათ. ის მალე დაწინაურდა ოსმალეთის სახელმწიფოს სამსახურში. ბექას ახალციხის ფაშობა ებოძა 1628 წელს. მის დროს სწრაფად მიმდინარეობდა სამცხის, სამხრეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი პროვინციის გამაჰმადიანება, მაგრამ იმავე დროს ცდილობდა კარგი ურთიერთობა შეენარჩუნებინა აღმოსავლეთ საქართველოს მეფე თეიმურაზ პირველთან.

მასალები, რომელთა საფუძველზე დაიწერა წინამდებარე გამოკვლევა ნათელს ხდის, რომ ოსმალეთის მბრძანებლის სამსახურში ჩამდგარი რენეგატი ფეოდალი საფარ-ფაშა მზადა იყო ოსმაალეთის სულთნის საამებლად და თავისი მიზნების მისაღწევად ეკადრა ყველფერი.

საკვანძო სიტყვები: საფარ-ფაშა; სამცხე; პედრო დუშ სანტუში; დედისიმედი; ელენე ათაბაგი;

შესავალი. წინამდებარე გამოკვლევაში მოხმობილმა ახალმა ცნობებმა სამცხის ათაბაგ საფარ ფაშას შესახებ, უფრო სრულყო ამ დაუდეგარი, გამუსლიმანებული პიროვნების ისტორიული პორტრეტი; სრულიად ახალია ავგუსტინელი ბერების ინფორმაცია, რომლითაც ვიგებთ, რომ ოსმალეთის სახელმწიფოს მოხელე/ფაშა საფარი დიდ მოგებას იღებდა მუსკატში (ომანის მთავარი ქალაქი) დარიჩინით ვაჭრობით, რომ მან ავგუსტინელი ბერების ხელით ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა აღმოსავლეთ საქართველოს მეფესა და კათალიკოსს; ის თავგამოდებით ცდილობდა სულთან მეჰმედ მეოთხისათვის გაეგზავნა თავის მიერ მოკლული ათაბაგ მანუჩარ მეოთხის ქალიშვილი ელენე...

მეთოდები: წარმოდგენილ ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, კონტენტ-ანალიზი, სისტემური ანალიზი.

შედეგები და დისკუსია: საფარ-ფაშა (არაქართულად – სეფერ-ფაშა), იგივე ბექა III ჯაყელი, სამცხის ათაბაგების ჯაყელთა დინასტიიდან. მისი მმართველობის დროდ მიღებულია 1625-1651 წლები. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, 1635 წელს „მოკვდა საფარ ფაშა და დაჯდა ძე მისი უსუფ ათაბაგად (ჟორდანია თედო, 1897: 450), რასაც სხვა წყაროები არ ადასტურებს. საფარ-ფაშას შესახებ არსებობს რამდენიმე ქართული და ოსმალურ წერილობითი წყარო, რომლებიც მეტ-ნაკლებად ცნობილია. იტალიელი კათოლიკე (თეატინელთა ორდენიდან) მისიონერის კრისტოფორო კასტელის ასევე რამდენიმე ცნობა კიდევ უფრო ნათელს გახდის საფარ-ფაშას ცხოვრების ზოგიერთ მომენტს.

ბექას მშობლები იყვნენ ათაბაგი ქაიხოსრო II (1545-1573) და XVII საუკუნის ევროპულ საისტორიო ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილი, დედისიმედი, რომელსაც ტომაზო მინადოი მხოლოდ ერთხელ მოიხსენიებს მას საკუთარი სახელით, უმეტესად უწოდებს ქვრივს (vedova) (Minadoi G. T., 1588: 34, 82, 84, 102, 103, 104, 184, 185). მნიშვნელოვანია დონ ხუან დე პერსიას (იგივე ულუ ბეგ ბაიათი) რამდენიმე ცნობა დედისიმედის შესახებ. ულუღ ბეგ ბაიათი, სპარსელი დიდებული, შაჰ აბასმა 1599 წელს დანიშნა ესპანეთში გაგზავნილი ელჩობის მდივნად. მან ქრისტიანობა მიიღო, დაირქვა დონ ხუან დე პერსია (მისი ნათლია იყო დედოფალი მარგარიტა ავსტრიელი) და ესპანეთში დარჩა. დონ ხუანის დღიურების საფუძველზე დაიწერა მისი „რელაციონი", რომელშიც საყურადღებო ცნობებია საქართველოზე (Juan de Persia don, 1604: 66 r-67 r. იხ. აგრეთვე: გიორგაძე, 1975: 118-144; მამისთვალიშვილი, 2009, I, 383-398).

ათაბაგ ქაიხოსრო მეორის მეუღლე, მანუჩარის დედა, ბაგრატ მუხრანბატონის ასული დედისიმედი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამთავროს პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1576-1578 წლებში მიმდინარე ფეოდალური ომის დროს ის აჯანყებული ფეოდალების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებსაც კი ხელმძღვანელობდა. ოსმალების მიერ სამცხე-

საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ (1578 წ.) დედისიმედი საკანაფას ციხეში დარჩა და თავის მომხრეებთან ერთად ხელმძღვანელობდა ანტიოსმალურ მოძრაობას. (მამისთვალიშვილი ე., 1987: 50, შენ. 30). ქრისტინე შარაშიძის გამოკვლევით დედისიმედი უნდა ყოფილიყო „მესხური მატიანეს“ ქრონიკის ავტორი (შარაშიძე, 1961: 123-132).

ბექა ჭაბუკობიდანვე აქტიურად ჩაება სამცხის პატრონი ათაბაგების სამფლობელოს და ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. 15-16 წლის ჭაბუკი ოსმალეთის მთავარსარდალ ლალა მუსტაფა ფაშასთან გაუგზავნიათ კუთვნილი საუფლისწულო მამულის გამოსათხოვათ. მაგრამ ლალა-ფაშა წასული დახვდა და იძულებული შეიქმნა ოლთისში გაჩერებულიყო. 1580 წლის ოქტომბერში ბიძას, ყვარყვარე ათაბაგს ეხმარებოდა ლორეს აღებისა და დარბევის დროს. 1582 წლის თებერვალში კი, 18 წლისა სტამბოლს წაიყვანეს. სავარაუდოა, რომ სწორედ მაშინ მიიღო ისლამი. თუმცა ისტორიული წყაროების დიდი ნაწილი მისი გამაჰმადიანების თარიღად XVII საუკუნის 20-იან წლებს დებს, როცა სტამბოლიდან დაბრუნებული ძმისწული – ათაბაგი მანუჩარი მასთან სტუმრობდა, საჭმელში საწამლავი ჩაუყარა და მოკლა. ამის შემდეგ ბექა თავად წავიდა სტამბოლს, აღიარა ისლამი და 1628 წელს ორთუღიანი[1] ფაშას ტიტულით ებოძა ათაბაგობა და იწოდა საფარ-ფაშათ (აბულაძე ცისანა, https://qim.ge/beqa%20III,%20safarfasha.html).

მოკლედ უნდა ითქვას მანუჩარ III-ის (1614-1625), მანუჩარ II-ის ძის შესახებაც. მამის ირანში ყოფნის დროს შაჰმა აბას I-მა იგი სამცხე-საათაბაგოს გამგებლად ცნო. 1608 წელს ოსმალებმა ახალციხე დაიპყრეს. მანუჩარი იძულებული გახდა ქართლში გადასულიყო. მამის გარდაცვალების შემდეგ, 1614 წელს საათაბაგოს დაეუფლა. რამდენადაც ორ მუსლიმანურ იმპერიას შორის მოქცეულ სამცხეში სწრაფად ვრცელდებოდა ისლამი, მანუჩარი ცდილობდა რამენაირად შეეჩერებინა ეს პროცესი, რაც „მეგობარი“ ოსმალეთის უკმაყოფილებას იწვევდა. ურჩი ათაბაგის დასჯა არზრუმის ფაშას დაევალა, რომელიც 1624 წელს შეიჭრა საათაბაგოში. მანუჩარ III-მ ვერ შესძლო მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევა და იძულებული გახდა მცირე რაზმით ისევ ქართლში გადასულიყო. მან მონაწილეობა მიიღო ქართლელ-კახელების სპარსელების წინააღმდეგ მარაბდის ბრძოლაშ 1625 წელს. ამგვარად, მანუჩარ III თავის სამთავროს გადასარჩენად თავდადებით იბრძოდა ხან სპარსელებისა და ხან ოსმალების წინააღმდეგ. ცოტა ხნის შემდეგ მანუჩარი, რომელიც სამცხეში შექმნილი არასასურველი ვითარებიდან გამოსავალს ვერ ხედავდა, სტამბოლში წავიდა სულთნის წყალობისა და დახმარების სათხოვნელად. სულთანმა შეიწყნარა მისი თხოვნა და, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს, „ხოლო მანუჩარ შეიწყნარა

[1] თუღი იყო სიმბოლო უმაღლესი სამხედრო სარდლისა სულთნიდან – სანჯაყ-ბეგამდე. იგი მზადდებოდა ცხენის ძუისაგან მოოქროვებულ ბირთვით დაბოლოებულ ხის გრძელ ტარზე (შუბზე) მიმაგრებული. ასეთი კუდი წარმოადგენდა ოსმალეთის სახელმწიფო დროშას. ასეთი ალამი ჰქონდა სულთანს, დიდ-ვეზირს, ბეგლარბეგებს, სანჯაყ-ბეგებს. ისინი მხოლოთ განსხვავდებოდნენ ცხენის ძუის რაოდენობით, რომელსაც განსაზღვრავდა ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლება და ამით მიუთითებდა იმაზე, თუ ვის რა უფლება და თანამდებობა ჰქონდა (სვანიძე, 1971: 305).

ხონთქარმან, მოსცა ქრისტიანობით ათაბაგობა და წარმოავლინა“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1974: 725). უკვე ითქვა, რომ როცა მანუჩარი საათაბაგოში ბრუნდებოდა, გზაში თავისმა ბიძამ ბექამ (შემდეგში საფარ-ფაშა) მოაკვლევინა. ბექა თვითონ წავიდა სტამბოლში, „იქმნა მაჰმადიან, მოსცა (სულთანმა – ე. მ.) ათაბაგობა და ყოველი საზღვარი სამცხე საათა-ბაგოსი და უწოდეს საფარ ფაშა და პატივსცეს ორითა თუღითა. მერმე წარმოავლინეს და მოვიდა სამცხეს 1626 წელს“ (სვანიძე, 1971: 305).

ცნობილმა თურქმა მოგზაურმა და ისტორიკოსმა ევლია ჩელებიმ საფარ-ფაშა ახალციხეში მოინახულა და შემდეგნაირად დაახასიათა: „ახლციხის... ხალხი ჯანიანი, მამაცი და სახელოვანია. განსაკუთრებით – ვალი ვეზირი საფარ-ფაშა; წარმოშობით ქართველი, გულადი, უნარიანი, მოასპარეზე ადამიანი იყო...“ (ევლია ჩელები, 1971: 301).

იწყება საფარ-ფაშას კარიერული აღმასვლა, რაც სარწმუნო ჩანს, რადგან 1625-1626 წლებში სამცხეს სპარსელები ფლობდნენ და მხოლოდ ოსმალების დაბრუნების შემდეგ ჰქონდა აზრი მისი ფაშად დანიშვნას. სულთან მეჰმედ IV-ის 1649 წელს იოანე ბერის მაწყვერლად დანიშნვის თაობაზე გაცემული სიგელის ადრესატია ახალციხის ბეგლარბეგი საფარ-ფაშას ძე – იუსუფ-ფაშა, რომლის გარდაცვალების თარიღად ვახუშტი 1674 წელს დებს. ამ დოკუმენტს ის მნიშვნელობაც აქვს, რომ როგოც ც. აბულაძე შენიშნავს, საათაბაგოში ორხელისუფლიანობა იყო საფარ-ფაშასა და მისი შვილის იუსუფ ბეგის სახით (აბულაძე, 1989: 290).

საფარ-ფაშა საათაბაგოს მართავდა „ვითარცა წესი არს ოსმალთა“ (ვახუშტი, 1973: 726). მან აღწერა ქვეყანა, ქრისტიანებს განუწესა გადასახადი ფაშის სარგოდ 10 შაური. სწორედ მის დროს დაიწყო საათაბაგოს ინტენსიური გამაჰმადიანება. „რისხვითა ღუთისაითა გამაჰმადიანდებოდნენ ყოველნი წარჩინებულნი ამა ქუეყნისანი და დაიწყეს მიერით თათრობა, რამეთუ ჟამთა ამათ მოაკლდებოდა ქრისტეანობასა...“. საფარ ფაშა „განაგებდა ნებითა ოსმალთა ყოველსავე“ (ვახუშტი, 1973: 726). ეს კი დიდ წილად გულისხმობდა ქრისტიანობის შეცვლას მაჰმადიანობით. შემცირდა ეკლესია-მონასტრების რიცხვი „თავად მესხთა ურწმუნოებისა და დიდებულთა მამულშეწირულებათა შემცირების გამო“. მით უფრო, რომ ტაოკლარჯეთი და შავშეთ-არტანუჯი ოსმალეთის საზღვრებში იყო და აღარავინ დარჩა „მეტრფე“ მონაზონებისა (ვახუშტი, 1973: 726).

საფარ-ფაშა მონაწილეობდა დანარჩენი საქართველოს ცხოვრებაში, სავარაუდოა ის ასე იქცეოდა ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების დასტურით. მაგალითისათვის შეიძლება გავიხსენოთ ერთი ფაქტი: ბაზალეთის ბრძოლაში განცდილი მარცხოს შემდეგ სააკაძე სტამბოლში წასვლის წინ საფარ-ფაშასთან მივიდა და ჯარი სთხოვა. საფარ-ფაშამ მოურავს „ჯარი ათხოვა“, ადგილობრივი ფეოდალების შეწევნით ყიზილბაშებს შეუტია და წარმატებაც მოიპოვა. მეორე ფაქტის, საფარფაშას მიერ თეიმურაზ პირველისა და აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსისათვის ძვირფასი საჩუქრების გაგზავნის შესახებ ქვემოთ ითქმევა.

საგულისხმოა, რომ სულთან მურად IV-ის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემულ წყალობის სიგელში სააკაძის დამხმარე პირებს შორის იხსენიება, როგორც „არფალიქის“ წესით თავისი სანჯაყის მფლობელი, ე.ი. ჯერ კიდევ არ არის ფაშა? მაგრამ ისტორიკოსი

ნაიმა მას საფარ-ფაშად იხსენიებს 1625 წლის შემდეგაც კი. ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეების ბიოგრაფიული კრებულის „სიჯილოსმანიეს“ მიხედვით ბექას ფაშობა ებოძა 1626 წელს (აბულაძე ც. https://qim.ge/beqa%20III,%20safarfasha.html).

საფარ-ფაშა სულტან მურად IV-ის დროს ყარსის ციხისთავად დაინიშნა, 1629 წელს ახლციხისა და ჩილდირის ბეგლარბეგი გახდა. 1634 წელს მონაწილეობდა ერევნის წინააღდეგ ლაშქრობაში. დიდი ხნის განმავლობაში იყო ახალციხის ვალი. გარდაიცვალა 1652 წელს.

ევროპელების მიერ დატოვებული პირველი ცნობა საფარ-ფაშას შესახებ ეკუთვნით საქართველოში, კერძოდ გორში ჩამოსულ პორტუგალიის ავგუსტინელთა ორდენის მისიონერებს: 1628 წლის 1 დეკემბერს გოაში ჩავიდა და ავგუსტინელთა კაპიტულს წარუდგინა ანგარიში საქართველოს მისიონის შესახებ პედრო დუშ სანტოშმა, გადასცა თეიმურაზ მეფისა და აღმოსავლეთ საქართველოს პატრიარქის, ზაქარიას წერილები. შეიძლება ვიფიქროთ, რომ წერილებში ავგუსტინელი მისიონერების კარგი დახასიათება იყო მათი ხელმძღვანელებისათვის განკუთვნილი. ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმავე წერილებში აღნიშნული იყო ქართველი მეფისა და კათალიკოსის რეკომენდაცია საფარ-ფაშასადმი შეეწირა მისინერებისათვის გარკვეული თანხა. პედრო დუშ სანტუშმა კაპიტულს მიართვა თავისი მოგზაურობის აღწერა გორიდან გოამდე (Flannery John M., 2013: 227). ისინი, ვინც გოაში გორის მისიონის დასახმარებლად მნიშვნელოვანი ფულადი შესაწირავები გაიღეს, იყვნენ ავგუსტინელები: ლუის დე ბრიტო, ინდოეთის მაშინდელი ვიცე-მეფე, ესტადო და ინდია (1628-1629), ანტონიო დე მორაესი და გოას არქიეპისკოპოსი სებასტიანო დე სანიო პედრო. ფულადი შესაწირი გაიღო სამხრეთ საქართველოს ნაცვალმა, რომელიც დიდ მოგებას იღებდა მუსკატში (ომანის მთავარი ქალაქი) დარიჩინით ვაჭრობით, მანვე გაატანა პედრო დუშ სანტუშს ორი ბეჭედი – ერთი საფირონისა პატრიარქისთვის, მეორე კი ბრილიანტებითა და ლალით შემკული მეფე თეიმურაზისთვის. (Flannery John M., 2013: 228; ავგუსტინელი მისიონერების გორში ყოფნასა და საქმიანობაზე იხ. მამისთვალიშვილი, 2023: 77-108).

1507-1650 წლებში პორტუგალია დომინირებდა მუსკატის, ომანის ამ უმნიშვნელოვანეს საპორტო და სავაჭრო ქალაქში, რომელიც მდებარეობს სპარსეთის ყურეში. 1581-1588 წლებში ოსმალეთის იმპერიამ დაიკავა მუსკატი. თუმცა პორტუგალიელები და ოსმალები ვერ აკონტროლებდნენ ომანს მთლიანად. XVII საუკუნის შუა ხანებში ომანურმა ტომებმა იმამის ხელმძღვანელობით განდევნეს პორტუგალიელები მუსკატიდან. ომანისა და მუსკატის ეს მოკლე ისტორია იმისთვის გავიხსენე, რათა გავარკვიოთ ვინ უნდა ყოფილიყო სამხრეთ საქართველოში ოსმალეთის იმპერიის ის ქართველი ნაცვალი, რომელმაც ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა მეფე თეიმურაზ I-სა და კათალიკოს ზაქარია ჯორჯაძეს (1623-1632). აღნიშნულ პერიოდში სამხრეთ საქართველოს „ნაცვალი“ უნდა ყოფილიყო ათაბაგების ჯაყელთა დინასტიის შთამომავალი ბექა III ანუ საფარ-ფაშა (1628-1651). ის, როგორც იმპერიის მოხელე, სამსახურებრივად და თავის კომერციული საქმიანობითაც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მუსკატთან.

თეიმურაზ პირველსა (ასევე ლევან დადიანთან და მეფე ალექსანდრე მესამესთან) და საფარ-ფაშას შორის კარგი ურთიერთობის არაპირდაპირ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს ცნობილი თურქი მოგზაურის ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნის“ ის ეპიზოდი სადაც იგი მოგვითხრობს: თორთუმის დათვალიერების შემდეგ, როდესაც დიდკაცები არზრუმის ვილაიეთისკენ გასამგზავრებლად (1647 წლის შემოდგომაა) როცა ემზადებოდნენ, ამ დროს ამბავი მოიტანეს, რომ „შავი ზღვის ნაპირზე მდებარე გონიოს ციხე კაზაკებმა მოულოდნელად აიღესო“. არზრუმის ფაშამ მაშინვე ჯარის მობილიზაცია გამოაცხადა. „ჩილდირის ვილაიეთის მფლობელი ვეზირი კოჯა საფარ-ფაშა ახალციხიდან ჭენებით წამოსულა და გონიოს დასახმარებლად მოსულა. მასთან ერთად საქართველოდან მოვიდნენ ექვსი ათასი გულადი ქართველი მეომრით თეიმურაზ-ხანის ძე, ლევან-ხანის ძე და ალექსანდრე-ხანის ძე“ (ევლია ჩელები, 1971: 327)

დასახელებული უფლიწულები იყვნენ: თეიმურაზ I-ის ძე – დავითი (დაიღუპა როსტომ მეფის წინააღმდეგ აჯანყების დროს, 1648 წელს), ლევან II დადიანის ძე – მანუჩარი (დაბადებიდან ავადმყოფი, გარდაიცვალა 1657 წელს) და იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის ძე – ბაგრატი (შემდეგში ბაგრატ IV – 1660-1681, გამეფების წელსვე დედინაცვალმა დააბრმავა).

ამგვარად, მუსლიმან საფარ-ფაშას დადებითი ურთიერთობა ჰქონდა დასახელებულ მეფეებთან და მთავართან, მაგრამ ისინი ხანდაზმულობის გამო საბრძოლო ოპერაციებში აღარ მონაწილეობდნენ. საყურადღებოა, რომ ოსმალეთის ხელისუფლება მუსლიმან საფარ-ფაშას დასახელებულ ქრისტიან მეფეებსა და მთავართან, მის თანამოძმეებთან ერთად მოისაზრებდა. ამის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს საფარ-ფაშას ჯარის დასახელებულ ქართველების ჯართან ერთად მისვლა გონიოს მისადგომებთან. ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ მას გამორჩეულად კარგი ურთიერთობა ჰქონდა თეიმურაზ მეფესთან, რომელიც სულთნის კარზე კარგი რეპუტაციით სარგებლობდა და ცდილობდა ოსმალეთი დაეპირისპირებინა სპარსეთისათვის. მათ შორის კარგი ურთიერთობის პირდაპირი მაჩვენებელია საფარ-ფაშას მიერ თეიმურაზ მეფისათვის ბრილიანტის თვლებიანი ბეჭდის მირთმევა.

საფარ-ფაშა სულ სხვანაირად იქცეოდა, როდესაც ოსმალეთის წინააღმდეგ ვინმე, თუნდაც ქართველები, იწყებდნენ მოქმედებას. თურქი ისტორიკოსები ქათიბ ჩელები და მუსტაფა ნაიმა წერენ: „ჩილდირის (ახალციხის) ბეგის საფარის ცნობით, ირანი, დადიანი და გურიელი გაერთიანდნენ და 30.000-მდე ურწმუნო საქართველოს მოსახლეობა. დადასტურდა, რომ დადიანის და გურიელის მეშვეობით შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე გონიოსა და ტრაპიზონს საფრთხე ელოდებაო. ამიტომ აუცილებელია ხმელეთიდან ჯარისა და სამეფო ფლოტის გამოგზავნა, იმ მხარეს დაცვა და დადიანისა და გურიელის ვილაიეთების დარბევაო“ (ქათიბ ჩელები, 1978: 126; მუსტაფა ნაიმა, 1979: 190-191).

ოსმალურმა წყაროებმა შემოინახეს საფარ-ფაშას შთამომავლების სახელები. ისინი სეფერფაშაზადეს საგვარეულოს სახელით იყვნენ ცნობილნი. „მათი წარმონადგენლები არიან: არსლან ფაშა, ჰაჯი ახმედ ფაშა, სალიჰი ფაშა, ჰასანი ფაშა, ისჰაკი ფაშა, საბითი

ფაშა, სულეიმან ფაშა, შერიფ ფაშა. ისინი სხვადასხვა დროს ვეზირები იყვნენ. სეფერ ფაშა დაკრძალულია არტანუჯში, ისტორიული ისკანდერ ფაშას მეჩეთის სასაფლაოზე არსებულ აკლდამაში. აკლდამა ძალიან დაზიანებულია. აკლდამაში 4 საფლავია: ერთი ეკუთვნის სეფერ ფაშას, მეორე მის შვილს, იუსუფ ფაშას, დანარჩენი 2 საფლავი – უცნობია“ (მურად ქასაბი, 2012; 115).

როგორც ითქვა, პედრო დუშ სანტუშმა გოაში ჩაიტანა და ავგუსტინელთა კაპიტულს გადასცა თეიმურაზ მეფისა და აღმოსავლეთ საქართველოს პატრიარქის, ზაქარიას წერილები. უნდა ვიფიქროთ, რომ გოადან საქართველოსკენ გამობრუნებულმა პედრო დუშ სანტუშმა ინდოეთში მიღებული დავალების მიხედვით, სპაციალურად გაიარა მუსკატში მდიდარ ქართველ საფარ-ფაშას მოსანახულებლად, რომლისგანაც ქართველი მეფისა და კათალიკოსის რეკომენდაციით გორის მისიონისათვის მნიშვნელოვანი შესაწირის მიღების იმედი ჰქონდა. ფაშამ ფული შესწირა მისიონს, ხოლო ქართველ კათალიკოსსა და მეფეს ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა (Flannery John M., 2013: 225-228). გამუსლიმანებული საფარ-ფაშა ჩანს ურთიერთობას ინარჩუნებდა მართლმადიდებელ მეფესა, კათალიკოსთან და კათოლიკე (ავგუსტინელ) ბერებთან და ამ უკანასკნელთა ხელმძღვანელობასთან, რომლის ცენტრი ინდოეთში ქალაქი გოა იყო. საფარ-ფაშას შესახებ საინტერესო ორიოდე ცნობა შემო-გვინახა იტალიელმა, თეატინელთა ორდენის მისიონერმა კრისტოფორო კასტელმა (1597-1659).

კრისტოფორო კასტელი დაიბადა გენუაში, აღიზარდა პალერმოში. საქართველოში ჩამოვიდა, კათოლიციზმის საქადაგებლად, როგორც თეატინელთა რელიგიური ორდენის მისიონერი. მან ორი წელი (1632-1634) დაჰყო გორში, 5 წელი გურიაში და 15 წელი სამეგრელოში. ასე, რომ კასტელმა საქართველოში გაატარა 22 წელი, 1632-დან 1654 წლამდე. კასტელი საქართველოში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა: ხატავდა სურათებს (მის მიერ შესრულებული ათასზე მეტი ნახატიდან შემოგვცქერის მისი თანამედროვე მრავალი ქართველი საერო და სასულიერო მოღვაწე, ცნობილი და უცნობი ქალბატონები, დასახლებული ადგილების ხედები, ეკლესია მონასტრები და სხვ.), მან მოხატა ეკლესიები, მკურნალობდა ავადმყოფებს, რომში აგზავნიდა დაწვრილებით ინფორმაციას ქართველი ხალხის ცხოვრების თითქმის ყველა მხარეზე. კასტელის ნამოღვაწარს, საუკუნეების შემდგაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესასწავლად.

პირველად კრისტოფორო კასტელი საფარ-ფაშას ახსენებს 1632 წლის 8 სექტემბერს თავის ბიძა გრეგორიო კასტელის, გალიანოს გრაფისთვის გაგზავნილ წერილში. ის საფარ-ფაშას არცთუ სასიამოვნო ვითარებაში შეხვდა. კასტელი თავის სულიერ ძმებთან, მისიონერებთან ერთად არზრუმიდან საქართველოში (გორში) მოდიოდა სომეხი ვაჭრების იმ ქარვანით, რომელსაც გეზი თბილისისკენ ჰქონდა. იმისათვის რათა ქარავნის წინამძღოლებს თავი აერიდებინათ საბაჟო გადასახადებისათვის, რომლებსაც მოგზაურები ჩვეულებრივ იხდიდნენ (კასტელი ამ გარემოებას ხაზგასმით აღნიშნავს და ნორმალურად მიაჩნია), ვაჭრებმა განიზრახეს გადასახადისათვის თავი

აერიდებინათ და მთავარი გზიდან გადაუხვიეს. მგზავრობის მეექვსე დღეს მებაჟეებმა ისინი არდაგანთან აღმოაჩინეს და საფარ-ფაშას აცნობეს. ფაშამ 200 შეიარაღებული კაცი გაგზავნა კანონის დამრღვევთა შესაპყრობად, დასახოცად ან დასატყვევებლად, როგორც გადასახადის გამოღებისათვის თავის ამრიდებელი მონები. საფარ-ფაშას ხალხმა ქარავანი დაატყვევა და დამნაშავენი ფაშას მიჰგვარა. მისიონერები სრულიად უდანაშაულოები იყვნენ, მაგრამ ისინი მაინც სატუსაღოში მოათავსეს. ერთ დღეს მათ სანახავად მივიდა ფაშას ქრისტიანი ექიმი (Licini P. A. 1980: 4-6), რომლის შესახებ დამატებით საინტერესოს მოგვითხრობს აღნიშნული ამბის მხილველი და მონაწილე, კრისტოფორო კასტელის თანამგზავრი, არკანჯელო ლამბერტი. არკანჯელო ლამბერტის მიხედვით, „ფაშას სამსახურში ერთი ფრანგი ექიმი იდგა, სახელად ჟანი, კათოლიკე და ღვთისმოშიში კაცი“. ჟანი წარმოშობით მარსელიდან იყო. მისი მეგობრობა თეატი-ნელ მამებთან იმ დროიდან დაიწყო, როცა იგი გორში ჩავიდა თეიმურაზ მეფის მეუღლის, დედოფალი ხორეშანის სამკურნალოდ“. ჟანმა იმდენი მოახერხა, რომ ფაშა დაარწმუნა კათოლიკე ბერების უდანაშაულობაში და ისინი საპატიმროდან გაათავისუფლეს. საფარ-ფაშამ თეატინელ მამებს წაართვა მხოლოდ ის ხალათი, რომე-ლიც მათ ქართლ-კახეთის მეფესთან საჩუქრად მიჰქონდათ. მათ გადაახდევინეს ძალიან ლამაზი ქსოვილის ფასი. მისიონერებმა იმდენი მოახეხეს, რომ საფარ-ფაშას მებაჟეებმა სომეხი ვაჭრები მხოლოდ გადასახადის ნახევრით დააჯარიმეს. ფაშამ მათ მოწმობა მისცა, ალბათ, იმის ნიშნად, რომ მგზავრები მართალნი იყვნენ კანონის წინაშე და თავისუფლად შეეძლოთ საფარ-ფაშას საგამგებლოში გადაადგილება. ამის შემდეგ მოგზაურებს გზის გაგრძელების ნება მისცეს. იმავე სომხებმა დიდი უმადურობა გამოიჩინეს: თეატინელი ბერები გაძარცვეს. მრავალი ხიფათის შემდეგ მისიონერებმა გორამდე მიაღწიეს (არკანჯელო ლამბერტი, 2020, 204, 205).

ქრისტოფორო კასტელი საფარ-ფაშას ახსენებს **რამდენჯერმე**, როდესაც ელენე ათაბაგზე ლაპარაკობს. ელენე იყო ასული უკვე ხსენებული სამცხის ათაბაგის, საფარ-ფაშას მიერ მოკლული მანუჩარ მესამის (1614-1625) ასული. მანუჩარმა თავისი სამთავროს გადასარჩენად თავგამოდებით იბრძოლა ხან სპარსელებისა და ხან ოსმა-ლების წინააღმდეგ. იგი ქართლელ-კახელების გვერდით იბრძოდა მარაბდის ველზე (1625 წ.). ცოტა ხნის შემდეგ მანუჩარი, რომელიც სამცხეში შექმნილი მდგომარეობიდან სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა, სტამბოლში წავიდა სულთნის წყალობის სათხოვნელად. სულთანმა შეიწყნარა მისი თხოვნა და, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გად-მოგვცემს, „მისცა ქრისტიანობით ათაბაგობა”. როდესაც მანუჩარი სამშობლოში ბრუნდებოდა, გზაში თავის ბიძა ბექა/საფარ-ფაშამ ძმისწული მოკლა, თვითონ ჩავიდა სტამბოლში და „იქმნა მაჰმადიან, მოსცა (სულთანმა – ე. მ.) ათაბაგობა და ყოველი საზღვარი სამცხე საათაბაგოსი და უწოდეს საფარ-ფაშა... და მერე წარმოავლინეს და მოვიდა სამცხეს 1626 წელს“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 724-725).

სრულიად განსხვავებულ კონტექსტში გადმოგვცემს კრისტოფორო კასტელი მანუჩარ მესამის ცხოვრების ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს, კერძოდ იმას, რომ მანუჩარს ერთი ულამაზესი ქალიშვილი ჰყავდა, რომელიც ელენე ათაბაგის სახელით იყო ცნობილი.

შემდეგ ვიგებთ: „ათაბაგი თურქებმა დაამარცხეს და იძულებული გახდა ქრისტიანობაზე უარი ეთქვა, რათა თავის სამთავროდან არ გაეძევებინათ. მიუხედავად ძალმომრეობისა, ის ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო და ჩვენთან ერთად პროტესტს აცხადებდა“ (Licini, 1980: 53). მ. თამარაშვილი, რომელიც როგორც ჩანს, მოთხრობილ ამბავს იცნობდა, მაგრამ ავტორს არ ასახელებდა, დაასკვნა, რომ ელენე სამცხის გამაჰმადიანებული ათაბაგის, მანუჩარის ქალიშვილი იყო („მესხების და ჭანების... მთავარს ათაბეგს, რომელსაც მაჰმადიანობა მიეღო იმის გამო, რომ მთავრობა არ ჩამორთმევოდა, ჰყავდა მხოლოდ ერთი ასული მეტად მშვენიერი“) (თამარაშვილი, 1902: 91). კრისტოფორო კასტელი ისე ყვება ათაბაგ მანუჩარისა და მისი ასულის შესახებ, რომ უშვებს ორ უზუსტობას: ოსმალების მიერ დამარცხებულ მანუჩარს სულთანმა ათაბაგობა დაუმტკიცა გამუსლიმანების გარეშე და ქრისტიანად გარდაიცვალა; კასტელი ისე ლაპარაკობს, თითქოს მანუჩარ ათაბაგს პირადად იცნობდა, რომელიც მისიონერებთან ერთად საქართველოში ისლამის გავრცელების წინააღმდეგ პროტესტს აცხადებდა (ლიჩინი, 2009: 53), რაც დროში აცდენილია. უნდა გავიხსენოთ, რომ ათაბაგი მანუჩარი მოკლეს 1625 წელს. კასტელი კი საქართველოში მხოლოდ 1632 წელს ჩამოვიდა.

როგორც ჩანს, მ. თამარაშვილი ქრისტოფორო კასტელის ეყრდნობა, როდესაც მანუჩარ ათაბაგის მუსლიმანობაზე წერს. ამ მოსაზრების კიდევ უფრო გამყარებისათვის ისიც უნდა ითქვას, რომ მ. თამარაშვილი ელენე ათაბაგზე საუბრისას შენიშნავს: „როგორც მოგვითხრობს მისი ამბის აღმწერი“-ო, მაგრამ არ ასახელებს ვის გულისხმობს (თამარაშვილი მ., 1902: 92). ეს არის ქრისტოფორო კასტელის 1647 წლის წერილი უადრესატო წერილი (ლიჩინი, 2009: 53-63), რომლითაც ისარგებლა მ. თამარაშვილმა, მაგრამ წერილის ავტორი არ დაასახელა.

კრისტოფორე კასტელის მიხედვით, მანუჩარ ათაბაგი თავის ქალიშვილს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, აფიქრებდა მისი მომავალი. რადგან საათაბაგოში არ იყო მისი დაცვის საშუალება, ვაითუ იგი თურქების ხელში ჩავარდნილიყო, მანუჩარმა ელენე თავის ბიძა, გურიის მთავარ მალაქიასთან გაგზავნა, რომლის სასახლეშიც კასტელმა ელენე პირველად ნახა. კასტელი ხსენებულ მთავარს მკურნალობდა.

სხვადასხვა პოლიტიკური ინტერესების მქონე ქართველ დიდებულებთან ერთად თავისი პოზიცია ელენეს მომავლის შესახებ, მისი მამის მკვლელმა საფარ-ფაშამაც გამოამჟღავნა. მან, როგორც ოსმალეთის სულთნის ერთგულმა მსახურმა მოითხოვა, რომ ელენე ოსმალეთის სულთნისთვის გაეგზავნათ, რაც პროსპარსულად განწყობილი ოდიშის მთავრისა და მისი გარემოცვისათვის მიუღებელი იყო. ქრისტოფორო კასტელი, თავის ბიძას გრეგორიო კასტელის აცნობებდა: ელენე ათაბაგის, მესხთა მთავრის ასულის შერთვა სურდათ სპარსეთის შაჰს საფის და ოსმალეთის ახალგაზრდა სულთანს (მეჰმედ IV – 1640-1648, დაიბადა 1615. 1642 წელს იყო 27 წლის); გურიის მთავარმა ოსმალებისგან ზეწოლას ვერ გაუძლო და ელენე ოდიშის მთავარს ლევან დადიანს გადააბარა. საფარ-ფაშამ იცოდა, რომ ლევან დადიანს განზრახული ჰქნდა ელენეს სპარსეთის შაჰისთვის

გაგზავნა, ამიტომ მთავარს ხშირად უგზავნიდა ელჩებს და ცდილობდა მის მოთოკვას და დამორჩილებას. ქრისტოფორო კასტელი თავის მხრივ ცდილობდა ელენეს ქრისტიანობაში განმტკიცებას და ურჩევდა უარი ეთქვა სპარსეთში წასვლაზე. ლევან დადიანი ელოდებოდა ხელსაყრელ დროს ელენეს სპარსეთში გასაგზავნად, რაც მოახერხა 1642 წლის 27 მარტს. როგორც კი ელენე სპარსეთში წაიყვანეს, ჩამოვიდა ოსმალეთის სულთნის ელჩი, რომელმაც გაიგო რა მომხდარის შესახებ, დიდად აღშფოთდა. მთავარმა სცადა თავის გამართლება და ელჩის საჩუქრებით დამშვიდება. იგი ასევე მოიქცა სულთნის მიმართაც (Licini, 1980: 36). კასტელი არ ამბობს რა მოიმოქმედა ლევან დადიანმა სილთნის დასამშვიდებლად. ის კი ცხადია, რომ ლევან დადიანი დიდად არ უწევდა ანგარიშს ოსმალეთის ხელისუფლებას (მამისთვალიშვილი, 2011: 583-593).

კრისტოფორო კასტელი საკმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობს ელენეს მძიმე განცდებისა და საქციელის შესახებ. დადიანის ბრძანებით, ელენე მოტყუებით წაიყვანეს ვითომ გურიაში დასაბრუნებლად, სინამდვილეში კი სპარსეთის გზას გაუყენეს. კასტელის გადმოცემით, ბოლოს და ბოლოს ელენი იმდენად დასუსტდა, რომ მას ისე მოექცნენ, როგორც სურდათ და დაითანხმეს [სპარსეთში] გამგზავრებაზე. მას გაჰყვა ორი მთავარეპისკოპოსი, სხვა ბატონები და ქალბატონები. კასტელი დიდად იყო შეწუხებული იმის გამო, რომ არ იცოდა ელენე ცოცხალი იყო თუ მკვდარი, ან რას აკეთებდა მისი ბიძა საფარ-ფაშა, რომელიც სულთნის 4 ვეზირს შორის იმყოფებოდა. არც ის იცოდნენ რას ფიქრობდა სულთანი, რომელსაც ელენე სურდა“ (Licini, 1980: 37).

სხვა ამბავზე საუბრისას კასტელისგან ვიგებთ, რომ „საფარ-ფაშა ამჟამად დიდი თურქის [სულთნის] დიდი ვეზირია“. როგორც ჩანს, კასტელს არასწორი ინფორმაცია ჰქონდა. საფარ-ფაშა, რამდენადაც არსებული ლიტერატურიდან ვიცით, ყველაზე დაბალ ორთუღიან ფაშობის ხარისხზე მეტად ვერ დაწინაურდა..

კასტელი საფარ-ფაშას უკანასკნელად ახსენებს მაშინ, როდესაც გვაცნობებს გორის თეატინელთა მისიასა და არდაგანს შორის თავის ხშირ მიმოსვლაზე საფარ-ფაშას დის სამკურნალოდ (Licini, 1980: 79).

მასალები, რომელთა საფუზველზე დაიწერა წინამდებარე გამოკვლევა ნათელს ხდის, რომ, ოსმალეთის მბრძანებლის სამსახურში ჩამდგარი რენეგატი ფეოდალი საფარ-ფაშა მზადაა სულთნის საამებლად და თავისი მიზნების მისაღწევად იკადროს ყველფერი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

აბულაძე, ც. (1989). *მეჰმედ IV-ის სიგელი იოანე ბერის მაწყვერლად დანიშვნის თაობაზე.* თსუ-ს შრომები, ტ. 290, თბილისი.

აბულაძე, ც. *ბექა III. საფარ-ფაშა(1625-1651).* https://qim.ge/beqa%20III,%20safarfasha.html

არკანჯელი ლამბერტი. (2020). *წმინდა კოლხეთი.* იტალიურიდან თარგმნა გიორგი ცქიტიშვილმა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო დავით მერკვილაძემ, თბილისი.

გიორგაძე, ბ. (1975).*ულუგ ბეგ ბაიათი და და მისი რელაციონი XVI საუკუნის საქართველოზე* . ევროპის ქვეყნების ისტორიის საკითხები, I, თბილისი.

ევლია ჩელები. (1971). *"მოგზაურობის წიგნი".* თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვ. I, თბილისი.

ვახუშტი ბატონიშვილი. (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა.* ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვიღ ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

თამარაშვილი, მ. (1902). *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის.* თფილისი.

ლიჩინი, პ. ა. (2009). *კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში.* თარგმანი, შესავალი და შენიშვნები მურმან პაპაშვილისა. თბილისი.

მამისთვალშვილი, ე. (1987). *თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები. 1577-1581.* იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა. თბილისი.

მამისთვალიშვილი, ე. (2009). *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია,* I (XV-XVI სს.), თბილისი.

მამისთვალიშვილი, ე. (2011)*საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია,* I (XVII ს. პირველი ნახევარი - თეიმურაზ I -ის ეპოქა, თბილისი.

მამისთვალშვილი, ე. (2023). *ავგუსტინელი მისიონერები საქართველოში.* History, Archeology, Etnology ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, №10. გორი.

მურად ქასაბი. (2012). *ოსმალეთის ქართველები.* მთარგმნელები გელა გუნიავა და ემინ შექერჯი. სტამბოლი.

მუსტაფა ნაიმა. (1979). *მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ.* თურქული ტექსტი, ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბილისი.

ჟორდანია, თ. (1897). *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა,* შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, (1213 წლიდამ 1700 წლამდე), თფილისი.

სვანიძე, მ. (1971). *საქართვველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან. XVI-XVII.* თბილისი.

ქათიბ ჩელები. (1978). *ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ.* თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნემი და საძიებლები დაურთი გ. ალასანიამ. თბილისი.

შარაშიძე, ქრ. (1961). *სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.).* ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა. თბილისი.

Flannery John M. (2013). *The Mission of the Portuguese Augustinians to Persia and Beyond (1602-1747),* Leiden-Boston.

Juan de Persia don. (1604). *Relaciones Don Juan de Persia. Dirigidas a la Magestad Catholica de Don Philippe III .* Rey de las Espaňas, y seňor nuestro. Divididas en tres libros, donde se tratan las cosas no tables de per sia, la genealogia de sus Reys, guerras de persianos, Turcas, y Tartaros, y las que vido en el viaje qve hizo à Espaňy su conuersion, y la otros dos Cavalleros Persianos. Aňo 1604. Con privilegio. En Valladolid por Juan de Bestillo: en la calle de Samano.

Licini, P. A. (1980). *Carteggio inedito di Cristoforo Castelli Chierico Regolare, Missionario in Georgia e Mingrelia.* Ricerca Sull' Architettura Georgiana, 21. 1980.

Minadoi, G. T. (1588). *Historia della Guerra fra Turchi et Persiani.* Venezia.

REFERENCES

abuladze, ts. (1989). mehmed IV-is sigeli ioane beris mats'qverlad danishvnis taobaze. tsu-s shromebi, t'. 290, tbilisi.

abuladze, ts. beka III. sapar-pasha (1625-1651). https://qim.ge/beqa%20III,%20safarfasha.html

ark'anjeli lambert'i. (2020). ts'minda k'olkheti. it'aliuridan targmna giorgi tskit'ishvi¬l¬¬ma, t'ekst'i gamosatsemad moamzada, gamok'vleva, ganmart'ebebi da sadzieblebi daurto davit merk'viladzem, tbilisi.

giorgadze, b. (1975).ulug beg baiati da da misi relatsioni XVI sauk'unis sakartveloze . evrop'is kveqnebis ist'oriis sak'itkhebi, I, tbilisi.

vakhust'i bat'onishvili. (1973). aghts'era sameposa sakartvelosa. kartlis tskhovreba, t'. IV, t'ekst'i dadgenili qvela dziritadi khelnats'eris mikhedvigh s. qaukhchishvilis mier, tbilisi.

evlia chelebi. (1971). ”mogzaurobis ts'igni”. turkulidan targmna, k'oment'ar¬ebi da gamok'vleva daurto giorgi puturidzem, nak'v. I, tbilisi.

tamarashvili, m. (1902). ist'oria k'atolik'obisa kartvelta shoris. tpilisi.

lichini, p'. a. (2009). k'rist'oporo k'ast'eli da misi misia sakartveloshi. targmani, shesavali da shenishvnebi murman p'ap'ashvilisa. tbilisi.

mamistvalshvili, e. (1987). turket-sp'arsetis omi da krist'iani kartvelebi. 1577-1581. it'aliu¬ridan targmna, shesavali, shenishvnebi da sadzieblebi daurto eldar mamistvalishvilma. tbilisi.

mamistvalishvili, e. (2009). sakartvelos sagareo p'olit'ik'a da dip'lomat'ia, I (XV-XVI ss.), tbilisi.

mamistvalishvili, e. (2011)sakartvelos sagareo p'olit'ik'a da dip'lomat'ia, I (XVII s. p'irveli nakhevari - teimuraz I -is ep'oka, tbilisi.

mamistvalshvili, e. (2023). avgust'ineli misionerebi sakartveloshi. History, Archeology, Etnology ist'oria, arkeologia, etnologia, #10. gori.

murad kasabi. (2012). osmaletis kartvelebi. mtargmnelebi gela guniava da emin shekerji. st'amboli.

must'apa naima. (1979). must'apa naimas tsnobebi sakartvelosa da k'avk'asiis shesakheb. turkuli t'ekst'i, kartuli targmanit, gamok'vlevita da shenishvnebit gamosatsemad moamzada n. shengeliam. tbilisi.

zhordania, t. (1897). kronik'ebi da skhva masala sakartvelos ist'oriisa da mts'erlobisa, shek'rebili, kronologiurad dats'qobili da akhsnili t. zhordanias mier, (1213 ts'lidam 1700 ts'lamde), tpilisi.

svanidze, m. (1971). sakartvvelo-osmaletis urtiertobis ist'oriidan. XVI-XVII. tbilisi.

katib cheleb., (1978). katib chelebits tsnobebi sakartvelosa da k'avk'asiis shesakheb. turkulidan targmna, shesavali, shenishvnemi da sadzieblebi daurti g. alasaniam. tbilisi.

sharashidze, kr. (1961). samkhret sakartvelos ist'oriis masalebi (XV-XVI ss.). t'ekst'ebis p'ublik'atsia, gamok'vlevebi da sadzieblebi kr. sharashidzisa. tbilisi.

Flannery John M. (2013). *The Mission of the Portuguese Augustinians to Persia and Beyond (1602-1747),* Leiden-Boston.

Juan de Persia don. (1604). *Relaciones Don Juan de Persia. Dirigidas a la Magestad Catholica de Don Philippe III .* Rey de las Espaňas, y seňor nuestro. Divididas en tres libros, donde se tratan las cosas no tables de per sia, la genealogia de sus Reys, guerras de persianos, Turcas, y Tartaros, y las que vido en el viaje qve hizo à Espaňy su conuersion, y la otros dos Cavalleros Persianos. Aňo 1604. Con privilegio. En Valladolid por Juan de Bestillo: en la calle de Samano.

Licini, P. A. (1980). *Carteggio inedito di Cristoforo Castelli Chierico Regolare, Missionario in Georgia e Mingrelia.* Ricerca Sull' Architettura Georgiana, 21. 1980.

Minadoi, G. T. (1588). *Historia della Guerra fra Turchi et Persiani.* Venezia.